დამტკიცებულია: შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა

პროგრესი - ბათუმის გენერალური დირექტორის 2024 წლის 20 მარტის

№01-03/10 .ბრძანებით

შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების,

პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების

წესი და პროცედურა

2024 წელი

სარჩევი

ზოგადი დებულებები 3

I თავი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება და შემუშავების პროცედურასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები 4

II თავი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი 7

III თავი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის ადაპტირების წესი 9

IV თავი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება 10

V თავი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება და პროგრამაში ცვლილების შეტანა 12

დასკვნითი დებულებები 14

- დანართი №1 15
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი 15
- დანართი №2 18
- ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელთა თაობაზე 18

ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის (შემდგომში - სკოლა) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესსა და პროცედურას.

2. დოკუმენტი შემუშავებულია ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის 99/ნ ბრძანების, ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების, „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანებისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა და თვითშეფასების ფორმების მოთხოვნების გათვალისწინებით.

.

I თავი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება და შემუშავების პროცედურასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება ეფუძნება დემინგის ციკლს.

2. პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს სკოლა, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი და სხვა;

3. პროგრამის დამატების ინიციატივას და მის მიზანშეწონილობას განიხილავს გენერალური დირექტორი, შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად. გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

4. მიზანშეწონილობის დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს წინამდებარე მეთოდოლოგიის №1 დანართით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად;

5. სკოლა ვალდებულია პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთება, №1 დანართით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, როგორც მტკიცებულება წარადგინოს ცენტრში;

6. პროგრამის შემუშავების მიზნით, სკოლის გენერალური დირექტორის ინდივიდუალურ- სამართლებრივი აქტით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის სავალდებულო წევრები არიან: პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახურის უფროსი, პროგრამის განმახორციელებლები (წინარე ხელშეკრულებების ფარგლებში გათვალისწინებული პირები), პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები (პირი, რომელიც მოიაზრება პროგრამის ხელმძღვანელად).

7. დუალური ან კოოპერაციული პროგრამის შემუშავების შემთხვევაში სამუშაო ჯგუფის სავალდებულო წევრები არიან იმ სასწავლო საწარმოს/პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები/ინსტრუქტორები, რომლებიც ჩართული იქნებიან პროგრამის განხორციელებაში;

8. ინტეგრირებული პროგრამის შემუშავებისას სავალდებულოა სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში წარმოდგენილი იყოს ინტეგრირებული ზოგადი მოდულის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;

9. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე დირექტორების, ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და პროგრამის განმახორციელებლებისაგან იღებს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელ ინფორმაციას სამუშაო ჯგუფებში მუშაობის ან/და ინდივიდუალური კონსულტაციების ფარგლებში;

10. სამუშაო ჯგუფის შეხვედრების დაორგანიზებას უზრუნველყოფს ჯგუფის ხელმძღვანელი და შეხვედრები დასტურდება სამუშაო შეხვედრების ხელმოწერის ფურცლებით და ჯგუფის წევრებთან ინტერვიუთი;

11.სამუშაო ჯგუფი ვალდებულია პროგრამის შემუშავებისას გაითვალისწინოს წინამდებარე დოკუმენტის II და III თავებით განსაზღვრული მოთხოვნები;

12. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტი, გენერალური დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში, დასამტკიცებლად წარედგინება გენერალურ დირექტორს;

13. პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო ინფორმაციას: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დასახელება, რომლის საფუძველზეც შემუშავდა პროგრამა, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულების დასახელება, პროგრამის მოცულობა კრედიტებში (მათ შორის, არაქართულენოვან პირთათვის), პროგრამის ხანგრძლივობა (მათ შორის, არაქართულენოვან პირთათვის), პროგრამის განხორციელების მიდგომა/მიდგომები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, ინფორმაცია შუალედურ შეფასებასა და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების საკითხი, დუალური და კოოპერაციული პროგრამების შემთხვევაში - ინფორმაცია პარტნიორთა თაობაზე; ინფორმაცია პროგრამის განხორციელების ადგილისა და პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ;

14. პროგრამას დანართების სახით უნდა ახლდეს ადაპტირებული მოდულები, პროგრამის განხორციელების ყველა მიდგომის გათვალისწინებით; სასწავლო გეგმა სხვადასხვა მიდგომებისთვის (მათ შორის, ქართული ენის მოდულ(ებ)ისთვის), დუალური და კოოპერაციული პროგრამების შემთხვევაში - კრედიტების (სწავლის შედეგების შესაბამისად) განაწილების სქემა, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებლებისა და პროგრამისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის თაობაზე (აღნიშნული შესაძლოა აისახოს მოდულში).

15. დუალური პროგრამის პროექტს თან უნდა ახლდეს პარტნიორ სასწავლოსაწარმოსთან/სასწავლო საწარმოებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ძირითად პუნქტებს:

ა) სასწავლო საწარმოსა და სკოლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

ბ) პროგრამის სახელწოდებას (ქართულ და ინგლისურ ენებზე), რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა;

გ) სასწავლო საწარმოსა და პროგრამის განხორციელების ადგილის მისამართებს;

დ) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების განაწილებას სკოლასა და სასწავლო საწარმოს შორის (კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული მოდულების მოცულობის 50%- ზე კრედიტი);

ე) პროგრამის ფარგლებში სასწავლო საწარმოში ერთობლივად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

ვ) პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის აღწერას, მათ შორის, ინფორმაციას შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ. მათ შორის, ინფორმაციას შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის პარტნიორი სასწავლო საწარმოს ბაზაზე ჩატარების შესაძლებლობის შესახებ;

ზ) ინფორმაციას პროფესიული სტუდენტის შრომის ანაზღაურების და პროფესიული სტუდენტისთვის შრომითი ხელშეკრულების მიღმა მატერიალური/ფინანსური დახმარების გაწევის, დაზღვევის პირობების თუ სხვა ზომების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

თ) პროფესიული სტუდენტის სწავლის/სამუშაოს შესრულების პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო საწარმოში/სკოლაში პროფესიული სტუდენტის გამოცხადების შესაძლებლობას და მის ჩართულობას აღნიშნულ პროცესებში, ასევე, აღნიშნულ პროცესებში მისი ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმებს (გეოგრაფიული მდებარეობა, ტრანსპორტირება და სხვა);

ი) სასწავლო საწარმოს ვალდებულებებს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საწარმოში სწავლის/სამუშაოს შესრულების პერიოდში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის შესახებ;

კ) ხელშეკრულების ვადას, რომელიც არ უნდა იყოს პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და ხელშეკრულების შეწყვეტის წესს;

ლ) სასწავლო საწარმოს/სკოლის სხვა უფლებებს, ვალდებულებებს, პასუხისმგებლობებსა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საკითხებს.

16. კოოპერაციული პროგრამის შემუშავების შემთხვევაში, დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამას თან უნდა ახლდეს პარტნიორი ორგანიზაციის შერჩევის დამადასტურებელი მტკიცებულებები, გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესისა და კრიტერიუმების შესაბამისად და თანამშრომლობასთან დაკავშირებით გაფორმებული მემორანდუმი ან ხელშეკრულება ან შეთანხმება;

17. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შემუშავებული პროგრამა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით, შესაძლებელია შეფასდეს სხვა დაწესებულებასთან ან პროფესიული განათლების მიმართულებით კვალიფიციურ პირთან თანამშრომლობის ფარგლებში. გადაწყვეტილებას აღნიშნულის თაობაზე იღებს გენერალური დირექტორი;

18. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით;

19. მოდული წარმოადგენს პროგრამის დანართს და ის მტკიცდება პროგრამასთან ერთად.

20. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც არის დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი. შესაძლებელია, პროგრამას ჰყავდეს ორი ხელმძღვანელი.

II თავი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი, რომლის საფუძველზეც იქმნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სავალდებულო ზოგად და პროფესიულ მოდულებს და შესაძლოა, დაწესებულებას სთავაზობდეს არჩევით მოდულებს. ზოგადი და პროფესიული მოდულები სავალდებულოა და მათი შეცვლის უფლება სამუშაო ჯგუფს არ გააჩნია;

2 . შემუშავებული პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევით მოდულებს როგორც იმავე პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, ასევე, სხვა სტანდარტებიდან შერჩეული მოდულების სახით;

3. არჩევითი მოდულების კრედიტების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის 20%-ს.

4. არჩევითი მოდული ლოგიკურად უნდა იყოს ბმაში პროგრამასთან, რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას დასაბუთებული;

5. არჩევით მოდულად დასაშვებია პროგრამის დონისაგან განსხვავებული დონის მოდულის გამოყენება. მაღალი დონის პროგრამებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაბალი დონის არჩევითი მოდული. ხოლო დაბალი დონის პროგრამებში – მაღალი დონის მოდული, თუ დაშვების წინაპირობები (წინმსწრები განათლება ან სხვა მოდული) უზრუნველყოფილია;

6 . თუკი არჩევითი მოდულის შერჩევა სადაო ხდება, პროგრამის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მიღებულ უნდა იქნას დასაბუთებული გადაწყვეტილება და შედგეს შესაბამისი ოქმი;

7. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დოკუმენტი მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა, რომელსაც ასწავლის პროგრამის ფარგლებში და ეს ასახოს უცხოური ენის მოდულში. თუ პროგრამა სავალდებულო მოდულებში ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტულ უცხოურ ენას, მაშინ ზოგადი უცხოური ენა იგივე უნდა იყოს;

8. ერთი და იმავე პროფესიულ სპეციალიზაციაზე შემუშავებული პროგრამა, შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიდგომით. შემუშავებულ პროგრამაში უნდა მიეთითოს განხორციელების მიდგომა /მიდგომები;

9. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება ხორციელდება „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანების შესაბამისად;

10. საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს ,,ქართული ენა A2" მოდულის, ხოლო საშუალო და უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე, ,,ქართული ენა B1” მოდულის განხორციელებას,

კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

12. დუალურ პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა - არანაკლებ 2 წელი;

13. ინტეგრირებულ პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა - არანაკლებ 3 წელი

14. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები;

15. სასწავლო გეგმა თავის თავში მოიცავს სასწავლო გეგმას ,,ქართული ენა A2" (ხოლო საშუალო და უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე ,,ქართული ენა B1") მოდულის გარეშე და ,,ქართული ენის" მოდულ(ებ)ის კვირეულ დატვირთვას;

16. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40 სთ-ს, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს და არ იყოს საშუალოდ 30 საათზე ნაკლები. გამონაკლისს წარმოადგენს ,,ქართული ენა A2"/,,ქართული ენა B1" მოდულ(ებ)ის კვირეული დატვირთვა. ასევე, ინტეგრირებული და დუალური პროგრამების სასწავლო გეგმები, სადაც სწავლის ხანგრძლივობა კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

17. როცა მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდება მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების პრობლემა;

18. დუალური პროგრამის შემთხვევაში სავალდებულოა გათვალისწინებული იქნას პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტი შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა სასწავლო საწარმოში;

19. დაუშვებელია კოოპერაციული სწავლების შემთხვევაში პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტი სწავლის შედეგების მიიღწეოდეს რეალურ სამუშაო გარემოში, თუ შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტით სხვა რამ არ არის დადგენილი;

20. ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებლების შესახებ პროგრამაში წარმოდგენილი უნდა იყოს დანართის სახით, თანახმად წინამდებარე წესის №2 დანართისა. დუალური პროგრამის შემთხვევაში მითითებულია პარტნიორი სასწავლო საწარმო/საწარმოები;

21. პროგრამაში უნდა აისახოს ინფორმაცია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის თაობაზე. ინფორმაცია შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ცალკე დანართის სახით, მოდულებში ან კომბინირებულად.

22. სამუშაო ჯგუფმა პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტზე დაყრდნობით, იმგვარად უნდა უზრუნველყოს მატერიალური რესურსის განსაზღვრა, რომ პროგრამაში მითითებული და შესაბამისად, სკოლის აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

III თავი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის ადაპტირების წესი

1. მოდული წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტს. ის პროგრამის დანართია და მტკიცდება პროგრამასთან ერთად.

2. მოდული შედგება სამი ნაწილისაგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები;

3. მოდულის ადაპტირებისას მოდულის პირველი (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილები რჩება უცვლელად. დამხმარე ჩანაწერები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა, იმგვარად, რომ მოდულის ფარგლებში უზრუნველყოფილი იყოს პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის სწავლისა შედეგების მიღწევა;

4. საათების განაწილების სქემა - საათების განაწილების სქემაში სამუშაო ჯგუფს შეუძლია ასახოს თავისი მიდგომები, თუმცა არა დამოუკიდებელი საათების გაზრდის ხარჯზე;

5. სწავლებისა და შეფასების მიდგომები - თუ მოდულის ფარგლებში არსებული მიდგომები სწავლებასა და შეფასებასთან დაკავშირებით არ არის გაზიარებული, სამუშაო ჯგუფს შეუძლია თვითონ ჩამოაყალიბოს საკუთარი მიდგომები. პროგრამის განსხვავებული მიდგომებით განხორციელების შემთხვევაში განსხვავებული სწავლების/შეფასების მიდგომები უნდა აისახოს შესაბამის მოდულებში;

6. შეფასების მიმართულებები და შეფასების მეთოდები - შეფასების მიმართულებები და მეთოდები გვიჩვენებს თუ რა მიმართულებით უნდა შეფასდეს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა. სამუშაო ჯგუფს შეუძლია შეცვალოს შეფასებისათვის გამოყენებული მეთოდი, შეფასების მიმართულების გათვალისწინებით

7. მტკიცებულებების მოპოვების მიდგომები - ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. თუ მტკიცებულების შეგროვების შეთავაზებულ მიდგომებს სამუშაო ჯგუფი არ ეთანხმება, შესაძლებელია მისი შეცვლა. ამასთან, ჯგუფი უფლებამოსილია შემოთავაზებული შესაძლებლობებიდან დატოვოს რამდენიმე და მასწავლებლებს მისცეს სწავლებისას შეფასების მეთოდისა და მტკიცებულებების თავისუფლად შერჩევის შესაძლებლობა (გასათვალისწინებელია მოდულის სწავლება სხვადასხვა პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ);

9. სასწავლო თემატიკა - სამუშაო ჯგუფს შეუძლია მოდულის თემატიკა შეცვალოს მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგის კონტექსტში;

10. სასწავლო რესურსი - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოდულში მითითებულია რეკომენდებული წყაროები. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია ჩაანაცვლოს რესურსი იმგვარად, რომ სასწავლო რესურსი იძლეოდეს მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას;

11. მოდული უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

IV თავი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას და შეფასების ანალიზს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი;
2. პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვას, რისთვისაც იყენებს კითხვარებს (კონკრეტული საჭიროებების მიხედვით). ასევე, შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეთოდი და პირისპირ ინტერვიუ;
3. პროგრამის შეფასების/ანალიზის დროს დგინდება პროგრამის შესაბამისობა შემდეგ კრიტერიუმებთან:
ა) სასწავლო რესურსის შესაბამისობა მოდულების სწავლის შედეგებთან - სასწავლო რესურსი უნდა იყოს მისაღწევი სწავლის შედეგების რელევანტური. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში მატერიალური ან ელექტრონული სახით;
ბ) მატერიალური რესურსის შესაბამისობა მოდულების სწავლის შედეგებთან - მატერიალური რესურსი უნდა იყოს მისაღწევი სწავლის შედეგების რელევანტური, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისი;
გ) სწავლების მეთოდების რელევანტურობა სწავლის შედეგებთან მიმართებით და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობა;
დ) პროგრამის მოდულების შინაარსის შესაბამისობა სწავლის შედეგებთან;
ე) პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა, მოწმდება რამდენი კურსდამთავრებული და პროფესიული სტუდენტი დასაქმდა პროგრამის მიმართულებით/პროფესიით (აღნიშნულ სტატისტიკას ხარისხის სამსახურს აწვდის პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახური);
ვ) პროფესიულ სტუდენტთა მოძრაობის სტატისტიკა - ფასდება რამდენი პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამაზე, რამდენმა დაამთავრა, რა იყო მათი სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის/მობილობის მიზეზი;
ზ) პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციის შესაბამისობა მათ მიერ განხორციელებული მოდულების სწავლის შედეგებთან;
თ) საჭიროების შემთხვევაში სხვა კრიტერიუმ/ებ-ი.
4. პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა - პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული კითხვარის საშუალებით, რაც მოიცავს:
ა) მოდულის შეფასებას;
ბ) პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასებას;
გ) მატერიალური რესურსების შეფასებას;
დ) სასწავლო რესურსის შეფასებას;
ე) სხვა (საჭიროებისამებრ).

5. პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვა - პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვა ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული კითხვარის საშუალებით, რაც მოიცავს:

ა) მოდულის შეფასებას;

ბ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასებას;

გ) მატერიალური რესურსების შეფასებას;

დ) სასწავლო რესურსის შეფასებას;

ე) სხვა (საჭიროებისამებრ).

6. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება - ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ხორციელდება საკონტაქტო საათზე დასწრება;

7. საკონტაქტო საათზე დასწრება ხდება პერიოდულად, თითოეული მოდულის/განმახორციელებლის გათვალისწინებით ან ვერიფიკაციის წესის შესაბამისად, რისკ ფაქტორების გათვალისწინებით;

8. სასწავლო პროცესის შესაფასებლად გამოყენებულ სხვა ინსტრუმენტებთან ერთად, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია მოდულის დასრულების შემდეგ განმახორციელებლის კომენტარები /რეკომენდაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

9. საჭიროების შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს ინიცირება მოდულში ცვლილებების თაობაზე, ეს შეიძლება იყოს სწავლების მეთოდების კორექტირება, შეფასების ინსტრუმენტის შეცვლა შეფასების მიმართულების ფარგლებში, სწავლის შედეგებზე საათების გადანაწილების კორექტირება, საგანმანათლებლო რესურსების ან თემატიკის ცვლილება და სხვა.

10. შესაბამისი რეკომენდაციები მიწოდებული უნდა იქნას იმავე მოდულის შემდეგ ეტაპზე განხორციელების დაგეგმვის წინ, რათა გათვალისწინებული იქნას წინა ეტაპის ფაქტობრივი გარემოებები. აღნიშნული წარმოადგენს სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობის გამართულობის ერთ-ერთ ინდიკატორს.

11. კურსდამთავრებულთა და პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვა - კურსდამთავრებულების და პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვა ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული კითხვარების საშუალებით;

12. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას ასევე გამოიყენება შიდა ვერიფიკაციის შედეგები.

13. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი აანალიზებს შეგროვებულ მონაცემებს. ანალიზის შედეგად იძლევა პროგრამის განვითარების რეკომენდაციებს. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გაიცეს რეკომენდაცია პროგრამის გაუქმების თაობაზე.

V თავი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება და პროგრამაში ცვლილების შეტანა

1. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის, პროგრამის ადამიანური, მატერიალური რესურსის ცვლილების (რომელიც არ არღვევს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს), საგანმანათლებლო რესურსის ცვლილების ან სხვა გარემოებების საფუძველზე;

2. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია პროგრამის განხორციელებასა (პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, ინსტრუქტორი, პარტნიორის წარმომადგენელი) თუ ადმინისტრირებაში ჩართულ, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს. ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წერილობით წარმოდგენილი;

3. დუალური და კოოპერაციული პროგრამის შემთხვევაში პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება პარტნიორებთან შეთანხმებით. მოდიფიცირებული პროგრამა ელექტრონული ფორმით მიეწოდება სასწავლო საწარმოს/პროგრამის განმახორციელებელ ინსტრუქტორს/განმახორციელებელს;

4. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა და უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, ამ პროგრამის შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ აღნიშნული პროგრამის შეცვლამდე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის განხორციელების შესახებ;

5. პროგრამის ცვლილების შესახებ სკოლის გენერალური დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, რომელიც წინამდებარე თავის მე-4 პუნქტის შემთხვევაში, ასევე, განსაზღვრავს შეცვლამდე არსებულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა სწავლის გაგრძელების და შეცვლილი პროგრამის ამოქმედების საკითხებს;

6. პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია აღნიშნული ცვლილების შესახებ აცნობოს ცენტრს, ცვლილების განხორციელების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და წარადგინოს შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულებები;

7. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა და ცენტრს აცნობოს აღნიშნულის შესახებ, შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე, არანაკლებ 60 კალენდარული დღით ადრე.

8. იმ შემთხვევაში, თუ სკოლა მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ვალდებულია ცენტრს აცნობოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

VI თავი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები

1. პროგრამის გაუქმება ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა). პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხული ყველა პროფესიული სტუდენტი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დაასრულებს სწავლას და მიენიჭებათ პროფესიული კვალიფიკაცია;

ბ) თუკი სკოლა ზედიზედ 3 წლის მანძილზე არ განახორციელებს ავტორიზებულ პროგრამას და განხორციელებული თვითშეფასებით დადგინდება, რომ პროგრამა აღარ არის მოთხოვნადი შრომის ბაზარზე და უახლოეს პერიოდშიც არ ჩანს მისი განხორციელების პერსპექტივა;

გ) სხვა შემთხვევა, რომელიც პროგრამის გაუქმებით არ დაარღვევს პროფესიულ სტუდენტთა კანონიერ ინტერესებს;

2. პროგრამის გაუქმება ხდება გენერალური დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტით, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე;

3. სკოლა ვალდებულია ინფორმაცია პროგრამის გაუქმების შესახებ აცნობოს ცენტრს, შესაბამისი ბრძანების გამოცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხორციელდება სკოლის გენერალური დირექტორის ბრძანებით;

2. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატების შეტანის ინიცირების უფლება აქვს სკოლის პერსონალსა და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს შესაბამისი დასაბუთების წარდგენის გზით.

დანართი №1

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი

წინამდებარე ცხრილი განკუთვნილია დაწესებულებისთვის, რათა დაეხმაროს პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებაში. გასათვალისწინებელია, რომ სავალდებულო არ არის ყველა კომპონენტის შევსება და დასაბუთება. ცხრილში მოცემულია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების ალტერნატიული გზები, შესაბამისად, რეკომენდებულია, ერთი ან რამდენიმე კომპონენტის დასაბუთება იმის მიხედვით, რა ტიპის არის პროგრამა და დასაბუთების რომელ კომპონენტს ეფუძნება მისი განხორციელება დაწესებულების მიერ.

რეკომენდებულია, თითოეული კომპონენტის დასაბუთებისთვის მტკიცებულებების წარმოდგენა (შესაბამისობის ნარატიული აღწერა).

მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი			
N	**მოთხოვნა**	**მტკიცებულება (საინფორმაციო რესურსის წყარო)**	**არ მიესადაგება (not applicable)**
1	**საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან**		
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
2	**დაწესებულების სამოქმედო არეალში არსებობს ან/და პროგნოზირებადია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.**		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
3	**ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, არსებობს მოთხოვნა იმ უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.**		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			

4	**შრომის საერთაშორისო ბაზრის კვლევის მონაცემებზე[1] დაყრდნობით, საერთაშორისო ბაზარზე არსებობს მოთხოვნა იმ სამუშაო უნარებზე/პოზიციებზე რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამა**		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
5	**დამსაქმებლებისგან/პოტენციური დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე იკვეთება კონკრეტული კვალიფიკაციის საჭიროება .**		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
6	**დასაქმების პლატფორმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ არსებობს მოთხოვნა იმ სამუშაო უნარებზე/პოზიციებზე რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამა .**		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
7	**დაწესებულების მიერ ჩატარებული ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებით გამოიკვეთა კონკრეტული სპეციალობის მქონე კვალიფიციური კადრების საჭიროება**		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
8	**კურსდამთავრებულების კვლევის შედეგებმა გამოკვეთა კონკრეტული პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმებისუნარიანობა**		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			

[1] *ისეთი პროფესიებისთვის, რომლის დასაქმების სფერო საერთაშორისო ბაზარია*

9	მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ შესაბამისი უნარების (რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს პროგრამა) მქონე კვალიფიციური კადრები, დეფიციტურია ქვეყნის/კონკრეტული გეოგრაფიული არეალის შრომის ბაზარზე (სადაც ოპერირებს დაწესებულება), რომელიც საჭიროა ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკის განვითარებისთვის		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
10	პროგრამა ხორციელდება სხვა პსდ-ების მიერ, თუმცა სკოლის პროგრამა იქნება გამორჩეული (რით იქნება სკოლის მიერ განხორციელებული პროგრამა განსხვავებული სხვა კოლეჯებისგან, რომლებიც იგივე პროგრამებს ახორციელებენ)		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
11	კონკრეტული პროგრამა არ ხორციელდება არცერთი პსდ-ს მიერ.		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
12	დაწესებულებას ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი (პროგრამის განმახორციელებლები) საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
13	სხვა არგუმენტაცია, რომელიც ცხრილში არ არის დასახელებული		
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			

დანართი №2

ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელთა თაობაზე

პროგრამის დასახელება .....

პროგრამის განხორციელების ფორმა ……

(რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)

რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა……
(კოოპერაციული/დუალური)

პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი და გვარი	მოდული, რომელსაც ასწავლის (საჭიროების შემთხვევაში მიუთითეთ მოდულის ნაწილი)	კვალიფიკაცია/გამოცდილება, რითაც დასტურდება, რომ აღნიშნულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია	აღნიშნულის თაობაზე პირად საქმეში დაცული მტკიცებულება